საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1435 2019 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში შესატანი ცვლილების მოწონებისა და „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში შესატანი ცვლილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას ინვესტორთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს იუსტიციის მინისტრი – საბჭოს წევრი;

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი – საბჭოს წევრი;

საქართველოში კერძო და საჯარო სექტორის განვითარებაში ჩართული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების არა უმეტეს 2 წარმომადგენლისა (დანიშნული როტაციის პრინციპით ინვესტორთა საბჭოს 8 სხდომის ვადით) – საბჭოს არამუდმივი წევრ(ებ)ი;

საქართველოს ბიზნესსაზოგადოების არა უმეტეს 2 წარმომადგენლისა, ხმის უფლების გარეშე (დანიშნული როტაციის პრინციპით ინვესტორთა საბჭოს 8 სხდომის ვადით) – საბჭოს არამუდმივი წევრ(ებ)ი.“.